პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 58 | კვირა, 25 ივლისი, 1926 წ. | № 58

„რევოლიუციონური ექსტაზით გატაცებულნი ზოგიერთი მწერლები გაუგებრად და მყვირალა სიტყვებით სწერენ“.

გაზეთებიდან.



შენი მილი, ქარხანა, მე ვადარე პაპიროსს,
რომელს ცეცხლი ჰკიდია (თუმც არა სჩანს რომ არ სწევ)
მისგან ბოლი ამოდის, ცაში წასვლას აპირებს...
შედარებას ამნაირს სხვა პოეტი ვერ ასწერს.

უწინ სწევდი მახორკას,—აწ მოსწიე „საბჭოთა“...
შეუბოლე ღმერთს ცაში და დაახრჩვე ბოლშია.
დავამარცხეთ ბურჟუა,—კვლავ ისარი ვარჭოთა...
მთელს ქვეყანას ჩავიგდებთ უეჭველად ხელშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 10

არ შეგეშინოსთ,
არ გაიკვირვოთ,
რომ ბრძანებაზე
არის ბრძანება...

რა გენაღვლებათ!?!
მე თუ კი ვწერ და
ჩემი ძალ-ღონე
არ მენანება,—

თქვენ წაიკითხეთ,
მიიღეთ ცნობათ
(შემსრულებელიც
იყავით მისი),—

ისე კი არა,
ვით მოხსენება
თქენი გამგისა
ან ვინმე სხვისი.

საქმე ის არის,
რომ თვე თავდება;
უკვე დაიწყო
ხელის მოწერა,—

და თუ ვინმეა
თქვენში ისეთი,
რომ ეს ამბავი
მაინც არ სჯერა,—

მაშინ მიმართოს
მან ჩვენს კანტორას;
დაბა-სოფლებში
კი რწმუნებულებს,—

მხოლოდ იცოდეს:
**ნისიად არა...**
აქაც და იქაც
მოსთხოვენ ფულებს.

ალბად სუყველას
გაგიგონიათ:
**„ყოველსა საქმეს
ჰლუპავს ნისია“**

ან კიდევ ასე:
უნდა იცოდე:
**„შენი ნისია
ნაღდად სხვისია“.**

**„ძმაო, ნისია,
რა სინდისია;
ნაღდზე ვივაჭროთ;**
წესიც ისეა“.

„დღეს იყოს ნაღდზე
ხვალ კი ნისიად“
და ხვალ რომ მიხვალ,—
ხვალეც ისეა.

—

ესეც არ იყოს—,
დღეს ვინ არ იცის:
**„ნისია ახდენს
ურთ-ერთში კავშირს“**

და ერთმანეთის
კარგს მეგობრობას
ცხვირზე ან შუბლზე
წაუსვამს ნახშირს.

მაგალითს გეტყვით
ჩვენს ცხოვრებიდან:
ვისზედაც დარჩა
ჩვენი ნისია

და არა იხდის,—
(ალბად მიტომ, რომ
აღარ აწუხებს
მას სინდისია),—

ყველას ვუჩივლებთ
სასამართლოში...
კმარა ლოდინი
და მოთმინება...

სხვა გზა არ არის,—
თუმცა ასეთი
ჩვენგან მოპყრობა
მას ეწყინება.

განა ღირს საქმე
ამდენს ხლაფორთად
და ერთმანეთში
აურ-ზაურად?!

თქვენს და ჩვენს შორის
მეგობრულ სალამს
თქვენ დაამყარებთ
თოთხმეტ შაურად.

ყოველს თვიურად
(თებერვლის გარდა)
გაზეთი ოცდა
ოთხი თუ ხუთი

და „ტარტაროზი“
ყოველს თვიურად
ნომერი ოთხი
და ხშირად ხუთი,

როგორიც არის
თვე მომავალი...
(ასეთი სხვა თვეც
გამოერევა)

და ყველა ამას,
ორივეს ერთად
**თოთხმეტ შაურად**
ყველა ერევა.

მერე რა დროა
ამჟამად, ახლა?!
არ იცი კაცმა
რა ხდება როდის...

დღე ერთი არი
და წარა-მარა
სენსაციური
ამბები მოდის...

და თუ არა ხარ
მთლად ბაიყუში
და არა სცხოვრობ
ტყეში თუ ჭურში,

უნდა გაიგო
ქვეყნის ამბები
და შენ შეუშვა
ისინი ყურში...

ეს ერთი საქმე
(და საქმე კარგი);
ეხლა მეორე
მთლად უკეთესი:

განა არ გინდა
რომ გაიხარო,
თუ მწუხარებით
შენ მუდამ კვნესი?!

განა არ გინდა
თავი გაირთო
და სხვაც გაართო
სიცილ-ხარხარით?

ვის არ უხდება?
ვის არ მოარჩენს
სიმხიარულე
აბა მითხარით!?!

თქვენ ნუ გგონიათ,
რომ ყველა ამას
ფული სჭირია
მრავალი, ბევრი!..

არა... სულ ცოტა;
არც ღირს სათქმელათ.
(ყველა ხომ კი ხართ
კავშირის წევრი?)

გაგიკვირდებათ,
მაგრამ მე ვამბობ:
**თოთხმეტი...** დიახ!
ნაღდი **შაური...**

რად გაგიკვირდათ?!
იაფი არის?..
დიახ! საქმეა
ეს უცნაური.

ტარტაროზი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხმა სოფლიდან



(პასუხად ვ. გაფრინდაშვილს)

გულდასმით გადავიკითხე შენი ლექსი **„სოფლისაკენ“.**

ამ ლექს რომ სათაური ჰქონებოდა: **„პირი სოფლისაკენ“,** არ წავიკითხავდი, რადგან გამოცდილებით ვიცი: ვინც ასე ლაპარაკობს და წარამარა ამაზე გაჰკივის, იგი არსოდეს არ იზამს პირს სოოფლისაკენ,—და თუ ჰქნა,—წამოვა პირ დაღებული, რომ რამე გადაჰყლაპოს.

გლეხი ვარ; ჯიუტობისათვის ნუ დამძრახავ. ზოგს რამეში ვერ გეთანხმები. აი, მაგალითად, სწერ:

ფოთლების პირით მითვლის ბუნება·
— რად დავიწყე სიმინდის ყანა?..
დაჰგმე სიყალბე და ფუფუნება,
მოდი, უმღერე მიწას ოსანა.

ბუნება რომ გაივლის, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მას რომ ჭკუა ჰქონებოდა, ასე არეული ამინდები არ იქნებოდა. ბუნების უჭკუობას თქვენი საქციელიც ამტკიცებს: კაცი ქალაქში ბრძანდები; თეთრი პური, შემწვარი გოჭი და კატლეტი თავზე საყრელად გაქვს; ჰო-და ასეთ პირობებში, ერთი იგი მითხარი, რა გაგახსენებს სიმინდის ყანას და ცივ მჭადს?! ამას რომ თავი დავანებოთ, უნდა იცოდე, რომ მიწას სიმღერით ვერაფერს გამორჩები... ასე, რომ: თუ კი მართლა ჩამოხვალ სოფელში, სიმღერის იმედი არ უნდა გქონდეს. სოფელში მოპირული სამოყიანი თოხია საჭირო და ჯან-ღონე.

აგერ კიდევ:

**...და ცისარტყელა სჯობია კინოს**

ამაში კი გეთანხმები და მადლობა ეკუთვნის შენგან ანდრო დოლიძეს, რომელმაც გაგვაგებინა, თუ რაძდენ ფულებს ღებულობენ კინო-რეჟისორები. რა თქმა უნდა, ამდენი ფულების ხარჯვას უფასო ცისარტყელა სჯობია. (მე დარწმუნებული ვარ, რომ შენც ამ მოსაზრებით გირჩევნია კინოს ცისარტყელა).

მარა, აგერ რომ სწერ:—**ურემი სჯობია ავტომობილსო,**— ამაზე ბევრი ვიცინე.

კაცო, სხვას რომ თავი დავანებოთ (მხედველობაში არ მივიღოთ დანჯღრეული ურემი და ხმელი ხარები), ავტომობილი იმით მაინც სჯობია ურემს, რომ იგი ჩქარა დაჰქრის, ჭირი არ გაუჩნდება და სხვა. მაგრამ ყველა ამას რომ თავი დავანებოთ,—ურემი რომ ავტომობილს სჯობდეს, მაშინ მე ავტომობილი მეყოლებოდა შეშის საზიდავად, ხოლო კომისრები კი ურმებით დაიწყებდენ სიარულს.

ყველაფერი ყველაფერია, მარა ეს რა დაგიწერია, კაცო?:

წყეული იყოს დიდი ქალაქი
ჩემგან ვით ციხე უარყოფილი.
მე მირჩევნია ქუჩას ჭალაკი,—
ჩემი სამშობლო არის სოფელი.

„ნავში მჯდომი მენავეს ეჩხუბებოდაო“—იმის არ იყოს,—ქალაქში სცხოვრობ და ქალაქს სწყევლი; ეს როგორ შეიძლება!? თუ ქალაქი ციხედ მიგაჩნია,—ვინ დაგავალა და ვინ გაიძულა—უსათუოდ ქალაქში ცხოვრეო?! კი არ გეწყინოს და,—პოეტებს ძალიან გიყვართ ქუჩა. მე ვფიქრობ, რომ პოეტისათვის ქუჩა ყველაფერია. მე რომ თბილისიდან სოფლისაკენ ნაადრევად მოვუსვი, სულ პოეტების ბრალია. ქუჩებში რომ ზღვა ხალხს ვხედავდი უსაქმოდ მოსიარულეს, შიშით კვდებოდი და ვფიქრობდი:

— რა არჩენს ამდენ უსაქმო ხალხს-მეთქი. განსაკუთრებით პოეტებია ქუჩაში ხეტიალს დაჩვეულნი, და აბა როგორ დავიჯერო, რომ ასე კარგი ლექსის დამწერს ქუჩა არ გიყვარდეს.

**და თუ გავცვალე კალამი თოხზე,**
**მშობელი მიწა არ მიღალატებს.**

ეს შენი განცხადება მივიღე მხედველობაში და შენთვის საგანგებოდ გავაკეთებინე გრძელტარიანი თოხი.

დაპირებას შესრულება უნდა. ყანები სიმწრით დავთეს-გავმარგლეთ-გავთოხნეთ... შემოდგომაზე*) მაინც ჩამოდი.

ცოტა რაღაც მეც წავულექსე და თუ არ გეზარება, გადახედე ამ ჩემს ლექსს შენს საპასუხოდ დაწერილს:

გაცვლას აპირებ თოხზე კალამის.
ასე ღაღადებს შენი უსტარი.
მიიღე ჩემგან წრფელი სალამი,
მოზრდილი სახრე და თოხის ტარი.

თქვენ გვაიმედებთ ჩანგით და სტვირით,
„პირი სოფლისკენ“ გაჰკივით ყველა;
თქვენი შემყურე მუდამ დღე ვსტირით,
თქვენს მიბრძანებას აღარ ეშველა.

ციხეს ადარებ ქალაქის ქუჩებს,—
მე ამ ამბავმა სულ გამაშტერა;
ქალაქში ყოფნა გულს თუ გიფუჭებს,
მაგ დასაქცევში რამ გაგაჩერა?!

მე მეშინია ყოფნა ქალაქში,
(გამოგიტყდები: თან მეზარება).
ამიტომ ჩავრჩი სოფლის ტალახში
ერთობ ძნელია სადაც გარება.

თუ მართლაც გინდა ჩამოსვლა ჩვენში,
თუ მოგენატრა თოხი და ბარი,
თუ რამე დაგრჩა მჭვარტლიანს სხვენში,—
ყანის მოტეხას ჩამოუსწარი...

თან წამოიღე ერთი ტრაქტორი,
(ყანას ვერ ძოხნავს ნაზი სიმღერა),—
მაშინ გახდები შენ ჩვენი სწორი,
თუ აგი რჩევა უდავოდ გჯერა.

**სიმონ-ალა.**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

---

*) მაჭარი იქნება; ალბად ჩამოვა.

**ტარტაროზი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკრეჟიმის

## წინედ და შემდეგ



ეს ფაბრიკანტი არ შეხებია ეკრეჟიმს,



მაგრამ ეკრეჟიმი შეეხო მას

# „სამაგალითო“ დირექტორი

„დაწესებულება-წარმოების ზოგი ხელმძღვანელები მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად შეუფერებლად ამცირებენ შტატს და მუშა-მოსამსახურეებს არ აძლევენ კუთვნილ ხელფასს... ამას ჩვენ სასტიკად უნდა შევებრძოლოთ“. (გაზეთებიდან).

მომჭირნეობის რეჟიმის გამოცხადება და მის გასატარებლად კამპანიების დაწყება ქარხნის დირექტორ—ილიკო ფაფხურაძისათვის არ იყო მოულოდნელი.

— ეჰ, ჩემო ძმაო!—ამბობდა იგი, როცა მოწერილობა მიიღო მთავრობისაგან მომჭირნეობის შესახებ,—მე მომჭირნეობა და რეჟიმი მესამე წელიწადია, რაც დავიწყე... მე ვიცოდი და ვგრძნობდი სამი წლის წინედ, რომ აუცილებელი იყო ამნაირი რეჟიმის შემოღება... ვიცოდი, მაგრამ თქმას ვერ ვბედავდი, რომ კონტრ-რევოლიუციონერობა არ დაეწამებინათ... აფსუს! ვინ იცის, რამდენი ფული მიიღო, ვინც ეს რეჟიმ-ეკონომია გამოიგონა!? ხშირად ხდება ასე: ადამიანი დიდ რამეს გამოიგონებს, მაგრამ სისულელე ჰგონია, ეშინია—არ დამცინონო და გამოაშკარავებას ვერ ბედავს... ნეტა, მესინჯა და მაშინვე მეთქვა! იქნებ მიეღო მთავრობას და ახლა ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

ჰო-და, თუმცაღა ყველაფერი წესრიგზე იყო, ილიკო ფაფხურაძის „სამეფოში“, მაგრამ მან მაინც ხელახლა გადასინჯა შტატი... ახალი რამე ხომ უნდ გაეკეთებინა ამ საქმეში?.. და კიდეც გააკეთა...

მან დაითხოვა დამლაგებელი და მისი მოვალეობა დააკისრა შიკრიკს.

— კი, მაგრამ, ამხანაგო დირექტორო, მე როგორ შემიძლია ორი თანამდებობა შევასრულო?—ეუბნებოდა გულგახეთქილი შიკრიკი ილიკოს.

— მე თუ კი ვასრულებ ორ თანამდებობას და მეტსაც, შენ რატომ ვერ შეასრულებ?

— როდის უნდა შევასრულო, როცა დრო არ მეყოფა?—ჯიუტობდა შიკრიკი, რომელიც თანდათან სთმობდა პოზიციებს და, შეტევის ნაცვლად, მოგერიებასაც ვერ ახერხებდა შიშის გამო.

— მე გასწავლი, თუ როგორ შეასრულო: ცხრა საათიდან სამამდი იშიკრიკებ, ე. ი. პაკეტებს წაიღ-წამოიღებ... შემდეგ, როცა აქ მუშაობა შეწყდება, დაალაგებ და დაასუფთავებ... მორჩა და გათავდა... რა ვქნათ? აი, ხომ ხედავ, მთავრობის მოწერილობაა?.. თუ თანახმა ხარ, იმუშავე,—თუ არა და,—შენ იცი; ჩვენ სხვას ავიყვანთ, რომელიც შესძლებს ორივეს გაკეთებას.

ასე და ამგვარად, ფაფხურაძემ გაატარა რეჟიმ-ეკონომია...

...და როცა რამოდენიმე თვის შემდეგ ქაღალდი მიიღო, რომ:

**...მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებული რევიზიას მოახდენს თქვენს წარმოებაშიო,**—არც კი სწყენია; პირიქით: კიდეც გაუხარდა და კმაყოფილობით ისე გაეღიმა, თითქოს მეშანქანე ქალი ქეთო შემოსულიყოს მის კაბინეტში და მისთვის სალამი მიეცეს.

მეორე დღეს ფაფხურაძე რიხიანად აკეთებდა მოხსენებას მუშათა და გლეხთა ინსპეციის წარმომადგენლებთან მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შესახებ.

...ამგვარად, ჯერ კიდევ 1923 წელში გავიწყე ჩემს წარმოებაში მომჭირნეობის რეჟიმის გატარება. 3.469 მან. 57 კაპ., რომელიც ერგებოდათ მუშა-მოსამსახურეებს გასული თვეების შრომის ხელფასად, არ მიმიცია. ამის მიზეზი, როგორც მოგახსენეთ, ის იყო, რომ მაშინ, ალბად, თქვენც კარგად გემახსოვრებათ, ჯამაგირებს ვერ ვაძლევდით თავის დროზე... და, რაკი დაგვიგვიანდა რამოდენიმე თვე, მერმე აღარ მივეცით... რა თქმა უნდა, მუშა-მოსამსახურეებმა გვიჩივლეს ადმინისტრაციას, მაგრამ, ხა-ხა-ხა-ხა, ჩემთან მაინც ვერაფერი გახდენ. შრომის კომისარიატი, სასამართლო და სხვა ორგანოები ფეხზე დააყენეს, ყველგან მოგვიგეს, აღმასრულებელი ქაღალდიც კი მომიტანეს, მაგრამ, ხა-ხა-ხა-ხა, თქვენც არ მომიკვდეთ: ჩემგან ვერაფერი მიიღეს... აჰა, ის დოკუმენტები...

ასე რომ მომჭირნეობა მე სამი წლის წინედ დავიწყე.

რაც შეეხება ამ დარგში ახალ მუშაობას, ეს უმთავრესად გამოიხატება შტატების შემცირებაში.

ყველა მუშა-მოსამსახურე დავტვირთე სამუშაოთი.

მაგალითად: დავითხოვე დამლაგებელი და შიკრიკს დავავალე მისი მოვალეობა. ახლა ჩემთან შიკრიკი კიდეც შიკრიკობს და კიდეც დამლაგებლეობს.

შრომაც წესიერად გავანაწილე.

მაგალითად: უწინ ერთი ქალი მემანქანედაც იყო და რეგისტრატორადაც. ახლა კი მემანქანედ სხვა ქალი ავიყვანე, ხოლო რეგისტრატორი ქალი, რომელიც არასიმპატიური შეხედულების იყო, გავითხოვე და მის ადგილას მივიღე ახალგაზრდა, მშვენიერი ქალი, რომლის ერთი შეხედვაც ფასი ღირს.

ამგვარად, ჩემს წარმოებაში სანიმუშოდ კარგად არის გატარებული მომჭირნეობის რეჟიმის მოთხოვნილება; ასე რომ თქვენ აქ არაფერი გაქვთ საკბილო.—დაასრულა ხუმრობის კილოთი ფაფხურაძემ თავისი სიტყვა.

---

მეორე დღეს ფაფხურაძე, როცა კი თავის კაბინეტში შემოვიდოდა, მაშინვე გაზეთებს გადაშლიდა და ეძებდა მის შესახებ შექების და მადლობის წერილს, რომელიც, როგორც იგი ფიქრობდა, უნდა მოეთავსებინა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სარევიზიო კომისიას... და, როცა ვერ ნახულობდა, ბრაზი მოსდიოდა და საყვედურით ამბობდა:

— სხვებზე რომ სწერენ,—ცუდათ ატარებენ მომჭირნეობასო, ჩემზე მაინც დასწერონ, თუ როგორ კარგად ვატარებ ეკრეჟიმს!?

---

ფაფხურაძეს აღუსრულდა წადილი. ერთ დილით, როცა გაზეთი გადაშალა, ოციან ასოებით წაიკითხა:

## სამაგალითო დირექტორი.

— ოჰო, მე ვარ, ალბად... მადლობა ღმერთს... არა... ღვაწლს არ დამიკარგავენ... აბა, წავიკითხო, თუ როგორ მაქებენ?

და წაიკითხა:

**მუშათა და გლეხთა ინსპექციის სარევიზიო კომისიამ N ქარხნის დირექტორი ილიკო ფაფხურაძე მოხსნა თანამდებობიდან და პასუხისგებაში მისცა მომჭირნეობის რეჟიმის ცუდად გაგებისა და გატარებისათვის... საქმე გადაეცა პროკურორს.**

თავზარი დაეცა ფაფხურაძეს. თვალები დაუბნელდა, გაზეთი ხელიდან გაუვარდა და უგრძნობლად სავარძელში დაეშვა.

და გონზე მხოლოდ მაშინ მოვიდა, როცა შიკრიკმადამლაგებელმა ქალალდი შემოუტანა.

— სიცრუეა... არ შეიძლება... ეს სიზმარიაო,—გაიფიქრა მან, მაგრამ, როცა შიკრიკის შემოტანილი ქაღალდი წაიკითხა, დარწმუნდა, რომ ეს სიმართლე იყო... ეს შეიძლებოდა... ეს ცხადი იყო...

შიკრიკმა შეხედა, ჩაიფხუტუნა და გავიდა.

---

ახლა ყოველ საღამოს ილიკო ფაფხურაძე რუსთაველის პროსპექტზე „ბორჯომის კუთხის“ წინ საჯდომზე ზის და ნაცნობს ელაპარაკება:

— არა, ძმაო, მე დავრწმუნდი, რომ მაგათთან თანამშრომლობა და მუშაობა არ შეიძლება. კაცო, მგონი არც თვითონ კომუნისტები იქნებიან ისეთი ერთგული მომჭირნეობის გატარებაში, როგორიც მე—უპარტიო კაცი ვიყავი... და ხედავ, რა მიქნეს?.. ეს არის მათი მადლობის მაგიერი... მაგრამ, მადლობა ღმერთს... ოთხ წელიწადს ვაჯექი ზურგზე წარმოებას და იმდენი კი ვიშოვნე, რომ ოთხს წელიწადს აწი თუ გინდ უმუშევრად ვიყო, არ გამიჭირდება...

— საქმე მოისპო?

— პროკურორს აქვს...

— რომ ჩაგსვან?

— როგორ, კაცო!!! ნუ თუ ჩაგდრებენ?!!!!!

— ჰმ! იკადრებენ და მერე, როგორ?!?

**ისელი.**

## როგორც წახვალ სვინათ...



მოვიდა სადგურში ფრანტად და კოხტად,—

## ისე ვერ მოხვალ შინათ



მაგრამ ეს რა არის?.. ასეთი რა მოხდა,
რომ სტირის საწყალი: „ვაიმე, გვერდები...
მომტეხეს ხელფეხი... მიშველეთ... მე კვდები“..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მუხომბორი“

ევროპის სახელმწიფოები თავისი ფინანსიური მდგომარეობის გამოსასწორებლად ამერიკას უტრიალებენ და სთ[illegible] მაგრამ უკანასკნელი ხეირს არ დააყრის მათ. (გაზეთებიდან)




თაფლი ჰგონიათ და ესევიან... ზედ ეკვრებიან... ზედვე კვდებიან.

## +ტრავმატიზმი

— გამარჯვება, ივანე! შვებულება მიიღე ავადმყოფობის გამო?—ეკითხება ნაცნობი რკინისგზის სადგურიდან მომავალ ივანეს.

— ავიღე, მაგრამ ორი კვირით, ეხლა კი რომ გამსინჯონ, სამი თვისას მაინც მომცემენ.

— რატომ, თუ ძმა ხარ?

— წადი სადგურში ბილეთის ასაღებათ და გაიგებ, თუ რატომ. ასი გვერდი რომ გქონდეს, ოთხმოცდა ცხრამეტს ჩაგამტვრევენ რიგში დგომის დროს. პირადათ მე ფეხი ამომიგდეს, მუხლის თვალი გამიხეთქეს, ბილეთის ფული ამომართვეს და ცალი მხარი მიღრძეს. ასე რომ...

— ასე რომ, ახლა რომ დაბრუნდე ისევ დამზღვევის კასის კომისიაში, საიდანაც ორი კვირის შვებულება მოუციათ, ახლა აუცილებლად პენსიას მოგცემენ ინვალიდობის გამო.

— თუ ძმა ხარ, მითხარი, ასეთ დაშავებას, როგორიც არის რკინისგზის სადგურში რიგში დგომის დროს დაშავება, პროფესიონალური დაავადება ჰქვია, თუ შემთხვევითი?

— არა, ძმაო, მგზავრებისათვის ეს არის ჩვეულებრივი; რკინისგზისათვის კი—პროფესიონალური და თანაც ქრონიკული, რომელიც, ალბათ, დიდხანს არ განიკურნება.

— ?!

ალლარ-ალლასან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქერქეტაძე „საქმის“ თავზე.

(ნამდვილისებური).

ქერქეტაძე დასვეს გამგეთ;
„საქმე“ იყო საზოგადო...
„ვირს“ რას ერჩით, „საცემია,
ვინც ბოსტანი „ვირს“ მიანდო“!

„ბოსტანს“ უნდა სულ სხვა. „ხე-
ლი“:
მოძრულ მიწას—ფხვნა და კვალვა,
ზოგჯერ მორწყვაც მოუხდება,
თუ გაუგდო წელმა გვალვა.

„ბოსტნის“ სათუთ მცენარეებს,
თუ შეეხო ტლანქად ფეხი,
„ტყე“ ყა იფქლი გაიხარებს,
რაც კი არის გასაჩეხი.

მწვანილი და ბოსტნეული
კი დაიწყებს ამოზრდობას...
მაგრამ... ჰა, თვით ქერქეტაძეც
და შევუდგეთ მის მოთხრობას!...

რა რეჟიმი გამოცხადდა
სიფრთხილის და მომჭირნების,
ქერქეტაძეც, ვით დამცველი
ყოველგვარი ასეთ მცნების.

მყის შეუდგა თვის „საქმეში“
ამ იდეის მოგვარებას...
(ვერ მოითმენს ქერქეტაძე
„საქმესთან“ სხვის მოკარებას!)

მისი აზრი უცვლელია:
რასაც იტყვის, მოსჭრის დანით!
ბიჭი ხარ და იმას დასტურს
ნუ დააწევ მაღალ ბანით.

მყის მიზანში ამოგიღებს
და მოგწურავს, როგორც გუნდა!
მას მოარჩენს, მას მოაკვდენს,
ქერქეტაძეს ვინც რომ უნდა!

ვსთქვათ, ვინ უნდა ქერქეტაძეს
და ვინ—საქმეს, საზოგადოს?
თვითეულმა იცის აგი,
მაგრამ, აბა, ვინ ვის ანდოს?!..

თუ სიიდან ქერქეტაძეს
თქვენ ამოშლით, როგორც მავნეს,
ქერქეტაძე „ძლიერია“,
უფრო ადრე ის შენ გავნებს!

მიდით თქვენ და დაუმტკიცეთ,
რომ საქმეს ვნებს იგი ამით,
ქერქეტაძე კირკიტაა:
რასაც იტყვის, მოსთლის დანით!

იმას „ფესვი გადგმული აქვს“
„ნიადაგში“ ისე მჭიდროთ,
რომ ხელს ილრძობთ, თქვენ იმისი
ამოგდება რომ იფიქროთ!

მასთან საქმე ესმის იმას,
ვით სამკვიდრო თავის-თავის:
„ძაღლი ჰყეფსო“, ის რომ იტყვის,
მორჩა, თუნდაც კატა ჰკნავის.

„ეს მელანი თეთრია“-ო,
თუ სთქვა, შენც სთქვი: „დიახ, თეთ-
რი“!..
არ იტყვი და... მოგედება
ქერქეტაძის დანა, მკვეთრი!

და თქვენ მკითხავთ: ეგ სად ხდება,
ანუ ამას ვინ ვით ითმენს?!.
და მე ხელი რომ დავადვა,
თქვენ ის სთქვით, თუ ვინ მომისმენს?

მოსასმენი სადაც არის,
ქერქეტაძეც „მოახსენებს“:
სიფრთხილით და სასოებით
ენით ბაგეს მოასველებს,

შემდეგ რეჟიმს ხელს ჩამოჰკრავს
და ჩამოსთლის, როგორც დანა!..
თქვენ გგონიათ, ძვირი არის
ეს მოვლენა ამისთანა?!.

რამდენიც გსურთ! მხოლოდ, რადგან
საქმე არის „საზოგადო“,
მეც ხელს ერთ პირს ვერ დავადებ:
მეშინია, რომ „გავადნო!“

თავის-თავზე განმიცდია
ამ „გადნობის“ მავნე მხარე:
სადაც „ვირთხას“ დაველევნე,
იქ მე „კატა“ გამოვთხარე!

მას ადვილად გადავჯჯეკნი,
„დაბალ ღობეს“ თუ წავაწყდი,
და თუ „ღობე მაღალია“,
რომ მივდგე, ხომ წელში გავწყდი!..

ონისიმე.

## სადგური ტფილისი

### ანუ მეგობრული შარჟი

(თუმცალა რა შუაშია აქ მეგობრული შარჟი!?)



ქართული ბიბლიოთეკა

# „24 საათი“



შრომის დაცვის კომისია („ოხრანა ტრუდა“), მიაქციე ყურადღება ამ ხალხს, მებზე ზის და დღე და ღამეში მრგვალი ოც და ოთხი საათის განმავლობაში რუსთაველის პროსპექტზე „ბორჯომის კუთხის“ პირდაპირ სკა-ზაო. დღე საფრთხეშია... სხვაგან თუ იცავ, აქაც ად არ სტოვებს თავის საყვარელ უსაქმოების ადგილს. რვა საათის სამუ-ი, თუ გინდ მილიციის დახმარებით.

## ვაჭაკა აგარაკზე

[illegible]

ფარსადან.

## გაფრთხილება



# ქვრივი კირილე

ერთი კვირის ავადმყოფობის შემდეგ, მართა—კირილეს ცოლი გარდაიცვალა.

— რა ვქნა! მადლობა ღმერთს, არაფერი არ მიმიკლია, მარა მაინც ძოკვდა... საიდან არ მოვიყვანე შემლოცველი, მარა საშველი მაინც არ დაადგა,—ამბობდა კირილე მეზობლებში, რომლებიც მიცვალებულის დასატირებლად და დაქვრივებულ კირილეს ნუგეშის-საცემად მოდიოდენ.

— ა?! არ გრცხვენია მართა? შენ რომ სიკვდილი არ იცოდი!? რა ვქნა? რა მეშველება აწი? მე შენ ხომ ვერ გილალატებ და სხვა ცოლს ხომ არ შევირთავ? მარა უქალოდაც რომ ვერ გავძლებ?? სად უნდა ვეძებო ქვრივი ქალი? ამ სოფელში არ არის და სხვა სოფელში რაფერ უნდა ვირბინო?! ვერ ჰქენი, ვერ ჰქენი კაი საქმე! თუ თავი არ გეცოდებოდა, მე მაინც შეგცოდებოდი?!—მოსთქვამდა მიცვალებულთან არქიმანდრიტის ჯოხსავით დაყუდებული კირილე.

ხალხი განაბებული აცილებდა მიცვალებულს. როცა ხიდზე გაიტანეს ცხედარი, კირილე ატირდა.

— გახსოვს, მართა, ერთხელ დამთვრალი რომ ვიყავი და ამ წყალში გადავვარდით ორივე?ჰერიჰა! რა დრო იყო უწინ... როცა დანიშნული მყავდი, ხშირად გესტუმრებოდი და თქვენს ეზოში ჩაჩმოსვლისთანავე დავიწყებდი:

„მრავალ ჟამიერ... მრაააავალ ჟაააამიიიეეერ... მრავაააავალ ჟაააამიიიეეერ“—და კირილე, მართლაც, ტირილიდან „მრავალ ჟამიერ“-ის სიმღერაზე გადავიდა. ღვინით შეზარხოშებულმა მღვდელ-დიაკვანმა სწრაფად მიაშველეს ბანი და მოძახილი, შემდეგ მთელი პროცესია აჰყვა მათ და გაიჩარხა დიდებული „მრავალ ჟამიერ“, რომელიც შორსაც ისმოდა; ასე გეგონებოდათ, თითქოს: კოტე ფოცხვერაშვილის გუნდი მღერისო. სოფლის ბავშებს მაყრიონი ეგონათ და ღობეებზე გადმომდგარიყვეს.

კირილემ სიმღერის დასრულებისას შეატყო, რომ ტირილი ლხენად გადაქცეულიყო...

— არა უშავს, რა! სიცოცხლეში ქეიფი და სიმღერა უყვარდა ჩემს მართას... არ ეწყინება...



იმ დღეებში წვიმიანი დარები იყო და კირილეს მეტად სწყინდა.

მაგრამ, აი: მართას დასაფლავების დღე მზიანი გათენდა. კირილე სიხარულით ცას წვდებოდა. მეზობლებშოკეთეები სამძიმარზე მოდიოდენ და კირილეს როცა შიუტირებდენ,—კირილე ასე ეუბნებოდა:

— არა, არა... არ მომიტიროთ... ბედნიერი კაცი ვარ, რომ ცოლის დასაფლავებაზე ასეთი მზიანი დარი მესწრება. გინდაც არ მომკვდარიყოს ჩემი მართა ისე მიხარია. ჭირზე და ლხინზე კაი დარი ყველაფერია... დიდება შენ ღმერთო; ცოლი კი წამართვი უდროოდ, მარა საყვედურს აღარ გეუბნები, რადგანაც მის დასაფლავებაზე კაი დარი გამოიყვანე... ბედნიერი ქალი ხარ. მართა... ალბად წმინდანი და ცხონებული ხარ, თორემ რომელ ცოდვილს დაესწრებოდა დასაფლავებაზე ასეთი მშვენიერი დარი?! ასეთი დარი შენ კი არა, ხელმწიფე-იმპერატორის დედოფალს ეკადრება... შენ ქორწილზე რომ იყო, ნამდვილი ისეთი დარია... მადლობა ღმერთს... დიდება ღმერთო შენ... არა, არა, ხალხნო,—არ მომიტიროთ... ხომ ხედავთ რა კაი დარი მესწრება ჩემი მართას დასაფლავებაზე? ბედნიერი კაცი ვარ, ბედნიერი...

ასე გეგონებოდათ, თითქოს: ამ კაცს ტირილი კი არა, ქორწილი აქვსო, ისე მხიარული იყო კირილე, რომელიც ხშირად უცქეროდა ცას, სადაც ღრუბლის ნამცეცი არ სჩადა და მზე ბრწყინავდა.

როცა დაასაფლავეს და მესაფლავეები სასაფლაოს მიწით ამოვსებას შეუდგენ, ცა უკვე ღრუბლებით იყო დაფარული და გასაწვიმებლად ემზადებოდა.

— აბა, მალე, ყოჩაღად, ბიჭებო, თორემ რაც ხანია გაწვიმდება და მიცვალებული, ჩემი მართა დამისველდება,—ეუბნებოდა კირილე მესაფლავეებს და თანაც ეხმარებოდა.

ცაში გრგვინვა გაისმა და ელვა წელგაწყვეტილ გველსავით გაეკლანკა ცას სადღაც შორეულ სივრცეში... რამოდენიმე წვეთი წვიმაც დაეცა მიწას.

— რაფერ გისაყვედურო, ღმერთო, მარა, შენ დალოცვილო, მადლი თუ ჰქენი, მარილიც მოაყარე; მაცალე ცოტა და მერმე რაც გინდა იგი ჰქენი... აბა, ბიჭო, მოუსვით ბარი და თოხი, თორემ ჩვენც დავსველდებით —და მართლაც ისე მოუსვეს, რომ როცა გაწვიმდა, საფლავი უკვე ამოვსებული და შეზვინული იყო.

— აწი თუ გინდა ისეთიც გაწვიმებულა, რომ ცა ფეხად წამოსულა... ძალიან არ მოვასწარით... აგაშენა ღმერთმა თქვენ, ყოჩაღად იყავით... მრავალ წელს თქვენი პატივისცემა—მადლობას უხდიდა კირილე მასაფლავეებს.

— ნუ გეშინია, მართა, კი წვიმს, მარა გზაში არ დასველდები... ჭკუით იყავი...

ეს იყო კირილეს უკანასკნელი სიტყვა ცოლის საფლავზე.

ისელი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ვის რა იზიდავს ქუჩაში



თვალებს
ნაირ-ნაირი ქუდი.
უნდა უყიდოს ქმარმა...
(მის ცოლს გრძელი აქვს ქუდი).



2. იტაცებს თვალებს კვარტი
და შიგ წითელი ღვინო...
უნდა გაჰკრა ბლომად
დათვრე და იღიღინო.




3. უყიდის
და ახდენს აურ-ზაურს.
კუჭში გაგხეთქავს, თუ კი
გადიხდი შინ ორ შაურს.



4. არავინ არ უყიდულობს...
და აზრი მოსდის თავში:
ბავშს შეახარბოს... შემდეგ
დედას ყიდვას სთხოვს ბავში.



5. ეს კი უცქერის წიგნებს
კუჭ-ჯიბე დანაჩუტი.
ნეტა რად, უნდა წიგნი,
თავი აქვს დუტი.



6. ო, ეს ქალაქი რას ჰგავს
ვის არ დაუდგამს მახეს!?
ბავშვებმა ვიტრინებში
ბავშთა ბავშები ნახეს.



7. ბევრს გაუშინჯა ჯიბე,
მაგრამ ვერ ჰპოვა ფული,
და ეტლით მიბრძანდება
„საქმეზე“ მხიარული.



8. მეგობრის მეგობართან
ისმის ჩურჩული ნელი:
—ფრთხილად... არ მოსწყდეს ჯაჭვი;
მაგრად ჩაავლე ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზუგდიდ-ქუთაისის დილიჟანი



# ლაშეს-აბანო

## გულული სცენა

### მაკრინე და მატრონე

მატრონავ, ცავ,—არ გიკვირს რაფერი ფუნთრუშა ვიყავი ციცაობას და რაფერ ჩამოვხმი ახლა?! რაცხა, ცავ, კიმკიმაში რომ დამკრავს, სულ კუდის რიკამდე ჩაშლიჭინდება. დამიწყებს ძვლები ტეხას, ძარღვები ცახცახს, ტანი ბლანკალს და თავი მტროვას...

ღმერთმა და იესო ქრისტე მაცხოვარმა უუუბლანკალოს და დუუმტვრიოს ყველა მაშენიკებს და ბალშენიკებს თავი და ტანი... იგინის ბრალი არის ჩემი ასე ჩამოხმობა: მუდამ ვაინები, გამოსლები, დაჭერები, დახვრეტები და რამდენი ვაი და უბედურება მაგინის თავზე... ქმარი გამიქციეს,—შენ ნიკოლოზაის ნაჩალნიკის პოპოშნიკი იყავიო. ერთი კაკალაი ბიჭი მყავდა, იგიც წამართვეს—შენ მავნე პირი ხარო. ღმერთი არ გამიწყრეს, ჩემო მატრონია, იმ ჩემ შვილს მავნე პირი კი არა,—დეილაპარაკებდა თუ არა, სულ შაქარი მუასხამდა პირიდან.

— მაკრინე, შენ ხომ გამოცთილი ქალი ხარ, არ იცი რაა მაი?

— ციებ-ცხელებაა, ქალო, ციებ-ცხელება.

— უშველე, ქალო, თავს და ახლავე გეიქეცი ლაშეს აბანოში; იგია, ქალო, მაგის წამალი... ჩახტები შით თვარა, იმინუჩი მორჩები, ჩემო მაკრინე... ნუგეშინია ახლანდელმა დოხტურებმა აფერი იციდეს... თავი რომ აგტკივდეს, იოდს წაგისობს და გეტყვის:—მოგარჩენსო.

— ლაშეს აბანო თუ მიშველის, ამინუჩი გევიქცევი, ჩავარდები შით და არც ამუალ, სანამ არ მოვრჩები.

### აბანოსთან

— ჩემი ბატონი! რავა შემიშობთ შით?..

— ორ შაურათ?..

— ერთი ბილეთი მომიფხრიწე, თუ შეიძლება, ბარიშნა... (ბილეთის გამყიდველი ყურადღებას არ აქცევს) შენ ვინცხა ხარ, რომ წამოსკიპარჭებულხარ სკამზე,—ბალეთი მომე აქეთ... ღმერთო მოსპე ახლანდელი გოგუები. მაგინიზა აღარც სირცხვილია, აღარც ნამუსი, აღარც ზდილობა და აღარც პატიოსნება.

### აბანოში

— უი-მე... უი-მე... რაფერი ყინტარო ყოფილა? ეშმაკმა წეაჩვენოს მაგინის თავი და ტანი; დასწყევლა იესო ქრისტემ, აი წყალი თუ კი გიეთფენ აქანაი... რა მეშველება ახლა?! რაფერ უნდა გუუძლო ამფერ ყინტარო წყალს, აა?—არ გუუძლებ და, დეილუპა მომიათ ნაშუარი ორი შაური; გუუძლო უნდა რაფერიც არ უნდა იყოს, მარა თუ არ მიშველა, ორ შაურს მაინც არ დავლუპავ: ხელათ ოპრუჟენი სუჩი შევიტან საჩივარს,—აბანოში ქალებს ტყავს აძრობენ-მეთქი...

### შემდეგ

ქიარ გუუძელი რავაც იყო?! კიდეც გადავიტანე და კიდეც მომიხთა!

თურმე რამდენს მეტს შეგიშვებენ ლაშეს აბანოში, მეტი მოსახთენი ყოფილა.

ა—ლი.





ეროვნული ბიბლიოთეკა



**მიკიტანი და ბოთლები** (ტფილისის საყუდიდან მომავალ მუშას, რომელსაც ჯამაგირი მიუღია): ნიკო, გეყოფა შრომა,—ეხლა კარგია ჯდომა; მოდი, გადაჰკარ ღვინო, არავინ ეტყვის შენს ცოლსა.



**საყუდის მუშა** (რომელსაც ჯამაგირი მიუღია. მთვრალი ჩახვევია ბოთლს და ღიღინებს). შენ ხარ ჩემი ცოლშვილი; მირჩევნიხარ ყველასა...



**ამავე საყუდის მუშა** (რომელსაც ჯამაგირი მიუღია, მისულა სახლში და შვილს ეალერსება). მეორე ჯამაგირზე კიდევ გიყიდი კაბას და პერანგს... ( ძველი მუშა. )

# ქვემო-აკეთი

(გ უ რ ი ა)

ტარტაროზ! რატომ არც ერთხელ
არ მოიხედე აქეთა,—
ნეტავი რისთვის შემოგვწყერ
შენს ერთგულ მოქალაქეთა?—

ჩვენ მაინც მოგწერთ ზოგ კეთილს,
და ზოგთა სიეშმაკთა:
ჩვენი სოფელი, შენც იცი
რომ ითქმის ქვედა-აკეთად,—

ზოგან თუ ოღრო-ჩოღროა,
ზოგან შეხვდები ვაკეთა,—
ილხინოს შენს ჯოჯოხეთში,
ვინც მისი აქმე აკეთა!

კოოპერატივს ვნატრობდით,
ჩარჩებსა ვყავდით ყმებადა,—
მათ ჩალის ფასად მიჰქონდათ,
თუ რამ სიკეთე გვებადა—

ნავომრის ეპოს მივმართეთ,
და მანც მიგვიღო ძმებადა:
გაგვიხსნა განყოფილება—
მოზიდა საქონელია:

პუდრი, პომადა, დუხები,
შოკოლადები, ჭრელია,
ფერადი ადეკალონი,
(ყველა სად გვემახსოვრება),

ურომლისოდაც სოფლელებს
არ შეგვიძლია ცხოვრება?
მაგრამ ისეთი „წვრილმანი",
როგორც ნავთი და მარილი,

ჩაი, შაქარი, საპონი—
არ არის აქ მოტანილი!—
და ან კი რა საჭიროა?—
მას ჩარჩებთანაც ვპოულობთ

და იმათ დახლში ვლაგებთ,
რასაც ოფლითა ვშოულობთ!..
ამგვარად ეპო აკეთის—
მორთული, მონაქარგია,

თავისთვის კარგათ თუ არის,
გლეხებს არაფერი არგია.
და კვლავ ჩარჩების ხელში ვართ
გვძვრება ორმაგად ტყავია,—

ტარტაროზ, მოგვინახულე—
ნუ მოგიკვდება თავია;
და გამგეობას ეპოსას
გამოუწკიპე ყურები,

ჩვენც მაგიერში ფიცსა ვდებთ
ერთგულად გემსახურებით!

ტარხუნა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ყაირათ-ეკონომია“

თელეთის მზემა, ვიცოდე ვინ მოიგონა ეს „რეჟიმ ეკონომია“—რიგიან-პირიანათ ავადრასტებდი.

მაგრამა, ცოტა არ იყვეს ჩემი ბრალიც არის, მე ყურუმსალი. ჩავუდექი კრიჭაში ამ საველკი ვლასტს და მინდოდა მითომ სამაგიერო გადამეხადა.

ეს რაღაცა ყაირათ-ეკონომია რომ მოიგონეს, მეც მინდოდა მიმებაძნა მთავრობისათვის და მეც მექნა ყაირათ-ეკონომია... ანდა რატომაც არ უნდა მიმებაძნა!? ვერა ხედავ რა რისკიანათ ჰკიდებენ ხელს ყველაფერს? მახლას! ჭკუით გვაჯობეს...

შევისწავლე „ყაირათ-ეკონომიას“ პრაგრამა; მაშინათვე შაგირდი დავითხოვე; საიუზ-მაიუზს ყური აღარ ვუგდე. ვიფიქრე: თუ რამეს მეტყვიან, ვეტყვი: ყაირათ-ეკონომიაა-მეთქი. რას მიზამენ!? ვინც დარჩა, იმათაც ჯამაგირის საკრაშენია ვუყავი... ისე რომა, საქმე ყაიდაში ჩავაყენე.

ვანებე თავი; ესეც ყაირათია ჰამაც... პერევაროტი რომ მოხდეს, ტურტერა ვარ, ლაპარაკი არ უნდა...

ქუჩაში მოვსეირნობ, ქარი ისე მიბერავს, გეგონებათ, პერვი სორტი დაჩაში ვარო. მაგრამ ერთი ისე დამიბერა, რომა ანაფორა ბაირაღივით აფრიალდა და ყველაფერი გამომიჩნდა. თურმე ნუ იტყვი,—უკან ბიჭ-ბუჭები ამდევნებიან და მორთეს ამ დროს შტვენა და ყვირილი. მე მაშინათვე ხელები მივიფარე წინ და უკან და მოუსვი სკაჩკის ცხენივით. ერთი ათი ქუჩა რომ არ შემოურბინე, ძალიან დავიღალე, დავდექი და უკან მოვიხედე. მაგრამ რას ნახავ: ბიჭ-ბუჭების გარდა ერთი ათი ტერტერაც მორბიან დაკალთებულნი ფოშტის ჯაგლაგი ცხენებივით. თურმე ნუ იტყვით: იმათ ჰგონებიათ, რომა ტერტერებს იჭერენო და ყველა დაფაცურდა... იმათი ოჯახი ამოვარდა; ესენი რომ არ გამომყოლოდენ უკან, მაშინ შეიძლებოდა სადმე დავმალულიყავ,—მაგრამ ეხლა სად გინდა



ბოლოს თავში კარგი აზრი მამივიდა: ვიფიქრე,—რა საჭიროა, რომა ტანზე მაცვია: შარვალი, ნიფხავი, პერანგი, ახალუხი, ხალათი, ვერცხლის ქამარი, გალიბანდის ქუდი, ჩექმები და სხვა... ვიფიქრე: ვიყიდი ერთ ანაფორას და მარტო იმით ვივლი; მთელ ტანს დაჰფარავს-მეთქი... თუ კი ამ ტერტერების ამოდენა ცოდვებს მალავს ეს ანაფორა,— ჩემი ტანი რაღა გახდა, რომა არ დაფაროს მეთქი??

ვიცოდი ჩვენი ტერტერა ძალიან გაჭირვებული იყო და ანაფორას ჰყიდდა. 18 მანეთად ტერტერასაგან შევისყიდე ანაფორა, გავიძრე ტანზე ყველაფერი და ჩავიცვი ანაფორა. რომ შემოგეხედნა, ნაკურთხი ტერტერა გეგონებოდა ჩემამზემ. თმის გაკრეჭა, წვერის მოპარსვასაც მიდაიმალო, როდესაც უკან მომდევენ?! როგორც იყო, ჩემს სახლსაც მივატანე და ტყვიასავით შევვარდი ოთახში. ტერტერებიც უკან მომყვენ. კომსომოლები თავზე წამოგვადგენ და გვიბძანეს—წამოდითო... მე ბევრი ვიფიცე არაფერი დამიშავებია-მეთქი, მაგრამა რას დააჯერებ:—თუ დამნაშავე არა ხართ და გუნებაში არაფერი გაქვთო, რათ გამორბოდითო?.. აი ასეთი აბვინენია წარმოგვიდგინეს... მახლას! მე რომ გავრბოდი, სირცხვილისა მცხელოდა... მაგრამ ამ პირ-ძაღლ ტერტერებს რა მოარბენინებდათ, ეხლაც ვერ გამიგია! ეს იყო ჩემი „ყაირათ-ეკონომია“?! მახლას! ეხლა ისე დავშინდი ყაირათ-ეკონომიას ხსენებაზე, რომა ლამის ტანში ელექტრონის ტოკმა დამარტყას ხოლმე, სიყმის მზემ. მ. მეჯვრისხეველი.

# „სტუდენტი“ შვილი

დედის ჭირიმე, სკაჟი მნე, რათა ხარ მოწყენილიო?
ტო ესტ, არ მესმის მე შენგან რაღაცა ლასკი ტკბილიო.
უსწავლელობა დლია მნე გეჯავრებოდა ჭირივით;
დღეს შვილი გყევარ ნასწავლი, ზნაუ პორუსკი ჩირივით.

დიპლომი კარგი პოლუჩილ... კურსი ესტ დამთავრებული;
შენ კი სკუჩნაობ... არ ვიცი რად არ ხარ გახარებული.
დედა, ნუ სტირი... ნაიდუ სადმე მე სლუჟბას კარგსაო...
ჟალოვნა ბუდუ პალუჩატ, მით გაგიქარვებ დარდსაო.

ბალოხ კოლაუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობათა მიღება

**უტუს.** (ნაგომარი) ერთს ალაგას სწერთ:

და ვიცი რომ დრამ-წრე
სცენაზე მიმიწვევს.

ქვემოდ, რამოდენიმე სტრიქონის შემდეგ კი, სწერთ:

არც კლუბი ჰგავს კლუბსა,
არ არსებობს დრამ-წრე.

რაშია საქმე? თქვენ დაგიჯეროთ, თუ თქვენს წერილს? რომელი სტყუით თქვენს შორის? თუ მართლაც არ არსებობს დრამ-წრე, მით უკეთესი,

რადგან კლუბის ეზო—
ნეხვების მთა-გორა...
სტუდენტობა ჭარხალივით
რამ დააგორა!

სად? ნეხვების მთა-გორაზე თუ?! მაშ თავისი ადგილი მოუნახავთ!

**შალგაფს.** (ხალიფოური) „კაპიკიან" (ეხლანდელ შაურიან) ქაღალდზე მარტო ეს დაგიწერიათ:

**სიზმრის ახსნა**

**1. ჭია ნახო სიზმარში—მეორე დღეს ჭიათურის წითელ სასადილოში № 2 კერძში ნახავ ჭიას, რომელსაც ლაქიები ვერმიშელს უწოდებენ.**

**2. მამალი ნახო—ერიდე სოფელ ხალიფოურში წარმოდგენაზე წასვლას, თორემ მამლის ყივილამდი არ დაიწყება წარმოდგენა.**

ჰო-და არც ფოსტაში გიპასუხებდით ასეთ პატარა წერილზე, მაგრამ „კაპიკიან" ქაღალდს ვეცით პატივი და გიპასუხეთ.

**პიკადორს.** (ბორჯომი) ხელახლა გამოგვიგზავნეთ მასალა, რომელიც გამოგზავნილი გქონდათ.

**ტინტრას.** (ჭიათურა) კარგი აღმასკომი ყოფილა, **თუ: ზოგიერთ ალაგას ჩამტვრეულ ხიდის შესაკეთებლად ფულს არ იღებს და მიზეზად ასახელებს მომჭირნეობის რეჟიმს...**

**არა აქვთ კლუბის შენობა... მიდიოდა სურათი: „ვინ არის დამნაშავე?..." როცა ერთი მოქმედების დასრულების შემდეგ გაწვიმდა, სურათის სხვა მოქმედების ჩვენება გადაიდო დარის გამოსვლამდი...**

ჰო-და სხვა რაღა გინდათ, თუ კი

**ყველა ამებმა დამარწმუნა, რომ ყველაფერში დამნაშავე არის აღმასკომი...**

ჩვენც გეთანხმებით.

**„შენს".** (გომი) თქვენ გვთხოვთ, რომ აუცილებლად მოვათავსოთ თქვენი წერილი, რადგან:

**ხალხში ასეთი ხმად ადის: თითქოს აღმასკომის თავმჯდომარეს დავალებული ჰქონდეს მღვდლის მოვალეობის და მაგიერობის გაწევა. მღვდლის კაბა არ აცვია ჯერჯერობით თემაღმასკომის თავმჯდომარეს, თორემ ისევ ყოველმხრივ მღვდელია-ო,—ასე ამბობენ სოფლელები.**

არის შემთხვევა (და ძალიან ხშირი), როცა ხალხის აზრი მართალია... და არც საკვირველია, თუ ასეთი ამბავი მანდაც იყოს... ხომ იცით: **პირი მას ეწვის, ვისაც პილპილი უჭამია.**

**იოსე ალექსის-ძე ბოხუას.** (ს. გუგუნაყათი, მარნის თემი) გასჭრა მარნის თემის აღმასრულებელი კომიტეტის (სენაკის მაზრა) მომართვამ რომელსაც აზის ბეჭედი და თავმჯდომარე-მდივნის ხელის მოწერა. ბილეთ ამავე აღმასკომიდან მეტრიკული ამონაწერი და საჩქაროდ შეგვატყობინეთ, თუ რამდენი წლის ხართ ეხლა, რომ სიყვარულს ასე გაუგიჟებიხართ. აღმასკომის თავმჯდომარე, რომელსაც, როგორც სჩანს არ სცოდნია სახაზინო ბეჭედის და „შტემპის" მოხმარა და დანიშნულება, არ დაიზარებს და სადაც არ უნდა იყოს და ვინაც არა, ყველგან და ყველას დაუსვამს აღმასკომის ბეჭედს.

ხოლო, ვინაიდან შესაძლებელია თქვენი სატრფო (ალბად აღმასკომია შუამავალი) გულის ძგერით ელოდებოდეს თქვენს შემოქმედებას, ამიტომ ჯერჯერობით ვათავსებთ თქვენი პოემის ნაწილს.

**ვიცი, ვიცი, აღთქმა ვიცი...**
**ხელს შეგისობ... მიყვარს ხიცი...**
**სადაც წახვალ არ მოგშორდები,*)**
**ვითომ ვიყო ულაყ კვიცი.**
**ღალატობა არ ვიფიქროთ,**
**დავიკავოთ სიტყვა მტკიცე,**
**როცა მოკვდე გენაცვალე,**
**ორივ ხელი თავში ტკვლიცე.**
**მე თუ მოკვდე ვარდოფინე,**
**გულზე ვარდი დამაფინე.**
**საფლავზე რომ დამასვენო,**
**ერთი კიდევ დამაღრინე...**

**ფშუჭის.** ჩვენ რა ზომები უნდა მივიღოთ, როცა თვითონ სოფელს მიუღია საჭირო ზომები:



**დაკეტა ეკლესია. ეხლა მოდიან მღვდელი და ბერი თავიანთი დიაკვნებით და მოსთქვამენ. ვერც ამ მწუხარებამ ჩამოაგდო მათ შორის ზავი.**

**ხუსიენ გაფრინდაძეს.** თქვენც რომ ისეთი **„საჯალდ საქმე"** შეგემთხვეოდეს, მაშინ ისწავლით ჭკუას, რომ ასეთ წერილებს „ტარტაროზი" არ ბეჭდავს.

**გმირ-ოღლის.** (დიდი-ვანი, გურია, სურები) ლექსი უფრო სუსტია, ვიდრე მისი განმარტებითი წერილი; ამიტომაც ვათავსებთ უკანასკნელს.

**სკოლის გამგე იმავე დროს არის „ეპო"-ს გამგედაც და სხვა საქმეებიც ბევრი აქვს. ამიტომაც არ არის საქმე მოგვარებული. ფოსტის გამგესაც ასე ემართება. ფოსტაში ვერ ნახავთ... პარკს ყიდულობს... სერბინეს სამიკიტნოში დანით დასჭრა ესე რამიშვილი, რომელიც ეხლაც საავადმყოფოში წევს... გლეხკომი გაკოტრდა... ყველა ეს სიმართლეს შეეფერება... გთხოვთ დაგვიბეჭდოთ...**

აჰა, დავბეჭდეთ, მაგრამ იმედი არა გვაქვს, რომ მიზანს მიაღწევს.

---

*) დაცულია ავტორის ყალბ-წერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკვე დაიწყო აგვისტოსათვის ხელისმოწერა

გაზ. „მუშა"-ზე

## აგვისტო 190 წელი

| კვირა | ორშ. | სამშ. | ოთხშ | ხუთშ | პარ. | შაბ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| 29 | 30 | 31 | | | | |

როგორც ამ კალენდარიდან სჩანს, მომავალ თვეში—აგვისტოში არის ხუთი კვირა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გაზეთის ხელისმომწერი ერთს თვეში მიიღებს

**„ტარტაროზი"-ს** ხუთ ნომერს,

რაც ღირს **ათი შაური.** ასე, რომ აგვისტოში გაზეთის საფასურად რჩება **ერთი აბაზი.**

მაშასადამე: ყველამ გამოიწერეთ აგვისტოში გაზ.

**„მუშა"**

**„ტარტაროზი"-თ**





საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტ. სტამბა, კამოს ქ. 68.